# ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსი

*ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსი ძირითად მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს. VEON ჯგუფი გონივრულობის ფარგლებში, იტოვებს მოთხოვნების მოდიფიცირების უფლებას, კომპლაენს პროგრამაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად.*

*VEON ჯგუფი ნიშნავს შპს VEON-სა და ნებისმიერ ოპერაციულ კომპანიას, მათ შორის შპს „ვიონი საქართველოს“ ,რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან ნაწილობრივ იმპყოფება VEON-ის მფლობელობაში ან კონტროლდება მის მიერ.*

## ჩვენი ბიზნეს პარტნიორები

რადგან გლობალური ეკონომიკა უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება, VEON-ის მიზანია შექმნას საუკეთესო მიწოდების ჯაჭვი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენს ვენდორებთან, მომწოდებლებთან, აგენტებთან, კონტრაქტორებთან, კონსულტანტებთან, შუამავლებთან, დილერებთან, დისტრიბუტორებთან, მომსახურების მომწოდებელ მესამე მხარეებთან და ბიზნეს პარტნიორებთან (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი „ბიზნეს პარტნიორებად“) თანამშრომლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიან, ინოვაციურ პროდუქტსა და მომსახურებას კონკურენტულ ფასებში, ამცირებენ ჩვენი ბიზნესის რისკს, პატივს სცემენ ყველა მოქმედ კანონს, იცავენ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს, უზრუნველყოფენ ჭეშმარიტ დამატებით ღირებულებას ჩვენი მომხმარებლისათვის და, სულ მცირე, აკმაყოფილებენ VEON-ის ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსში (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კოდექსი“) ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.[1]

## გამოყენების სფერო

წინამდებარე „კოდექსი“ ვრცელდება ბიზნეს პარტნიორებსა და მათ შვილობილ კომპანიებზე, ქვეკონტრაქტორებსა და აგენტებზე, რომლებიც მოქმედებენ, როგორც მათი პროდუქტებისა და მომსახურებების ლიცენზირებული / უფლებამოსილი (ავტორიზებული) გადამყიდველები შპს VEON-თან ურთიერთობაში. ჩვენი მოთხოვნაა ბიზნეს პარტნიორებმა თავის მხრივ, საკუთარ პარტნიორებს გაუზიარონ და მოსთხოვონ წინამდებარე „კოდექსის“ პრინციპების აღიარება და დაცვა.

## ზოგადი პრინციპები

სტაბილური საქმიანობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ეთიკური ქმედებისა და პროფესიული კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტებით ხელმძღვანელობა ჩვენი გრძელვადიანი საქმიანობის (ბიზნესის) გარანტიაა. ჩვენ ერთგულად ვიცავთ აღნიშნულ პრინციპებს და ბიზნეს პარტნიორებისაგან ვითხოვთ გაიზიარონ ჩვენი პრინციპებისადმი ერთგულება და იყვნენ თანხვედრაში წინამდებარე „კოდექსში“ გაწერილ ვალდებულებებთან. წინამდებარე „კოდექსი“ შემუშავდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, როგორიცაა „ელექტრონული ინდუსტრიის მოქალაქეთა კოალიციის ქცევის კოდექსი“, „ერთიანი აუდიტორული თანამშრომლობის მიწოდების ჯაჭვის მდგრადობის სახელმძღვანელო“, მათ შორის „საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის“ კონვენციები და საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნები.

## ეთიკური ქცევა

VEON და ჩვენი ბიზნეს პარტნიორები საქმიანობას წარმართავენ სხვადასხვა საინტერესო და დინამიკურ ბაზარზე _ ლოკაციები, რომლებიც უდიდეს შესაძლებლობებს იძლევიან თუმცა იმავდროულად, როგორც ეთიკური, ასევე, სამოქმედო-ოპერაციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი რისკების წინაშე გვაყენებს. ამ რისკების მართვის საშუალებაა ყველა მოქმედ კანონთან შესაბამისობა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ანტიკორუფციულ კანონთან, სადაც VEON ირიცხება ამერიკის საფონდო ბირჟაზე - ნაზდაქზე, ნიდერლანდების

[1] წინამდებარე დოკუმენტში „ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსი“ მოხსენიებული იქნება, როგორც „კოდექსი“. VEON-ის „ქცევის კოდექსი“ წარმოადგენს დამოუკიდებელ დოკუმენტს, საკუთრივ VEON-ის ქცევის კოდექსს და ხელმისაწვდომია VEON-ის ვებგვერდზე, www.veon.com.

ვერსია 2 (ოქტომბერი 31, 2017)

კანონებთან, სადაც VEON-ის სათაო ოფისია განთავსებული და ასევე ირიცხება საფონდო ბირჟის ჩარმონათვალში. არც ჩვენ, არც ჩვენი ბიზნეს პარტნიორები არ წამოიწყებენ ისეთ საქმიანობას ან დათანხმდებიან ისეთ რისკს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს არაეთიკური ქცევის შედეგები, ან მოქმედი კანონების დარღვევა.

**პატიოსანი ქცევა**

ჩვენ ვცნობთ პატიოსანი ქცევის უმნიშვნელოვანეს ღირებულებას და იმას, თუ როგორ ეხმარება ის ჩვენს საქმიანობას როგორც მოკლე, ისევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. ეს ჩვენი ღირებულებებია. მარტივად რომ ავღნიშნოთ: კეთილსინდისიერება და პატიოსნება ნამდვილად ფასობს. იმის კეთება, რაც სწორია _ ნებისმიერ გარემოებაში _ ყოველთვის უმთავრესია. ჩვენ ვითანამშრომლებთ ჩვენს ბიზნეს პარტნიორებთან, კომერციული ქცევისა და წინამდებარე „კოდექსით“ გაწერილი ასპექტების შესრულების მუდმივი განვითარებისთვის.

**მსოფლიო კლასის მოწინავე**

VEON-მა წამოიწყო მოგზაურობა ახალ ციფრულ ეკონომიკაში მსოფლიოს წამყვანი პოზიციის მოსაპოვებლად, რასაც ჩვენ მხოლოდ სწორი გზით მივაღწევთ. კეთილსინდისიერება ჩვენი კულტურის ქვაკუთხედია. ღირებულებებისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, ჩვენი კომპანიის მოწინავედ აღიარება, VEON-ის რეპუტაციის ზრდის უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი და წარმატების საფუძველია. ბიზნეს პარტნიორის ქცევა გავლენას ახდენს VEON-ის რეპუტაციაზე. ბიზნეს პარტნიორი, რომელიც ვერ უერთგულებს „კოდექსში“ გაწერილ სტანდარტებს, დაკარგავს VEON-ის კეთილგანწყობას მომავალი თანამშრომლობისათვის. შესაძლოა ასეთი ქმედება რამდენიმე ან ყველა საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველიც გახდეს.

**ერთი ნაბიჯით წინ**

„კოდექსში“ გაწერილი კონკრეტული მოთხოვნები წარმოადგენს ბიზნეს პარტნიორისათვის დაწესებულ მინიმალურ სტანდარტს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბიზნეს პარტნიორის სურვილს გასცდეს ამ სტანდარტებს, კონკრეტულად კი ისეთ შემთხვევებში, სადაც ადგილობრივი კანონები და რეგულაციები სუსტია ან იშვიათად ექვემდებარება აღსრულებას.

**დიუ დილიჯენსის პროცესი**

ბიზნეს პარტნიორების შერჩევისას VEON აწარმოებს შესაფერის, რისკზე დაფუძნებულ დიუ დილიჯენს პროცესს. ყველა ბიზნეს პარტნიორმა უნდა გაიაროს და წარმატებით დაასრულოს ანტიკორუფციული დიუ დილიჯენსი, მასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე. ბიზნეს პარტნიორებს მოეთხოვებათ გაიარონ VEON-ის მიერ წარმართული დიუ დილიჯენსის პროცესი, ყველა კითხვარის ზუსტად და დეტალურად შევსება, მათ შორის, მოთხოვნილი დოკუმენტაციის, კომპანიის მფლობელობასა და აფილირებული კომპანიებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალე და დროული წარდგენა.

**შესაბამისობა ადგილობრივ კანონებსა და რეგულაციებთან**

ბიზნეს პარტნიორები უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა შესაბამისი კანონის მოთხოვნას, რეგულაციასა და სტანდარტს იმ ქვეყნებში, რომლებშიც წარმართავენ საქმიანობას. იქ, სადაც მოქმედი კანონები და „კოდექსი“ ერთსა და იმავე საგანს განიხილავს და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, გამოიყენება (წესდება) უმაღლესი სტანდარტი. თუ „კოდექსის“ რომელიმე მოთხოვნა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს, იმოქმედებს მოქმედ ადგილობრივ კანონებთან შესაბამისი უმაღლესი სტანდარტები.

**ქრთამი და კორუფცია**

განაცხადი ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე : VEON <u>არ</u> დაუშვებს კორუფციისა და ქრთამის აღება-გაცემის არანაირ შემთხვევას.

VEON უმკაცრესად კრძალავს კორუფციას, ქრთამის მიღება-გაცემას, უკანონოდ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ გადახდებს, თაღლითობას, ქურდობას, ფულის გამოძალვასა და მითვისება-გაფლანგვას. ბიზნეს პარტნიორები უნდა შეესაბამებოდნენ ყველა მოქმედ ანტიკორუფციულ კანონს და აწარმოონ ზუსტი და დეტალური ჟურნალები და ჩანაწერები, რომლებშიც სწორად აისახება მათ მიერ განხორციელებული ტრანზაქციები და არ იქნება შეტანილი რაიმე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. ბიზნეს პარტნიორები არ გასცემენ, არ სთავაზობენ, არ მოითხოვენ და არ დათანხმდებიან მიიღონ თანხა ან რაიმე ღირებული ვინმესაგან, პირდაპირ თუ ირიბად, მესამე პირის საშუალებით, VEON-ისათვის არაკეთილსინდისიერი უპირატესობის მოპოვების მიზნით.

ბიზნეს პარტნიორებს მოეთხოვებათ წარმართონ საკუთარი ანტიკორუფციული კომპლაენს პროგრამა დანაშაულებრივი ქმედების ან კანონის სავარუდო დარღვევის ხელშეშლისა და აღმოფხვრის მიზნით.

**საჩუქრები და მასპინძლობა**

ამას გარდა, ბიზნეს პარტნიორები, პირდაპირ თუ ირიბად, არ შესთავაზებენ საჩუქრებს, მასპინძლობასა და სხვა სარგებელს VEON-ის თანამშრომლებსა და წარმომადგენლებს მათზე არაკეთილსინდისიერი გავლენის მოხდენის მიზნით და  არ შესთავაზებენ VEON-ის თანამშრომლებს რაიმე საჩუქრებსა თუ მასპინძლობას მიუხედავად მისი ღირებულებისა, ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების, აუქციონის, ტენდერის ან გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში..

**კონფიდენციალობა და მონაცემთა უსაფრთხოება**

ბიზნეს პარტნიორები დაიცავენ ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალობას, რომელიც ეხება VEON-ის მომხმარებლებს, ბიზნესის საქმიანობას, ხელშეკრულებებს, პროექტებს, ფინანსურ მდგომარეობას ან შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა VEON-ისაგან მიღებულია კონკრეტული შინაარსის წერილობითი ნებართვა. ბიზნეს პარტნიორები უნდა იცავდნენ მათი ბიზნეს პარტნიორების გონივრულ მოთხოვნებსა და მოლოდინებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ. ბიზნეს პარტნიორები უნდა იცავდნენ ინფორმაციის გაუთქმელობისა და უსაფრთხოების წესებს და მარეგულირებლის მოთხოვნებს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის დროს. ბიზნეს პარტნიორმა უნდა უზრუნველყონ მომხმარებლის მონაცემების უსაფრთხო დაცვა და მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის გაუთქმელობა. ბიზნეს  პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა შესაფერისი უსაფრთხოება და დარწმუნდნენ, რომ მათი მონაცემთა უსაფრთხოების სისტემები დაცულია და მათი თანამშრომლები, რომლებიც დაშვებულნი არის VEON-ის მონაცემებსა და მომხმარებლის მონაცემებთან, ექვემდებარებიან საჭირო მეთვალყურეობას.

**ანტიკონკურენტული ქცევა**

ბიზნეს  პარტნიორმა არ უნდა დაარღვიოს კონკურენციის კანონი ან ანტიმონოპოლიური რეგულაციები, ან არ უნდა ჩაერთოს ზემოხსენებული წესების რაიმე სახით დარღვევის მცდელობას.  ბიზნეს პარტნიორები უნდა ერთგულებდნენ სამართლიან ბიზნესს, რეკლამის განთავსების წესებს და კონკურენციის სტანდარტებს.

**ინტერესთა კონფლიქტი**

ბიზნეს  პარტნიორებმა VEON-ს უნდა აცნობონ ნებისმიერი რეალური, პოტენციური ან შესაძლო/მოსალოდნელ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს VEON-ს. "ინტერესთა კონფლიქტი" ნიშნავს ნებისმიერ მდგომარეობას, პოტენციურს, რეალურს ან გააზრებულს, რომელმაც შეიძლება კონკრეტულ მხარეს (პირს) აიძულოს საკუთარი ფინანსური და პირადი ინტერესი უფრო მაღლა დააყენოს ვიდრე მათი ვალდებულებებია ან შესაძლოა გამოიწვიოს პირის მიკერძოებულობა ბიზნესთან დაკავშირებულ განსჯა-შეფასებაში, გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში. ბიზნეს  პარტნიორმა თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს, რომელმაც შეიძლება საქმიან ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედოს.

**ინტელექტუალური საკუთრება**

ბიზნეს  პარტნიორმა პატივი უნდა სცეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. ბიზნეს  პარტნიორებმა უნდა განახორციელონ ტექნოლოგიის ტრანსფერი ისეთი ფორმით, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს იცავს.

**ფულის გათეთრება**

ბიზნეს პარტნიორი მტკიცედ ეწინააღმდეგება ფულის გათეთრების ნებისმიერ ფორმას და მიიღებს ყველანაირ ზომას, რომ მისი ფინანსური ტრანზაქციები არ იქნეს გამოყენებული სხვების მიერ ფულის გათეთრების საშუალებად.

**სიტყვიერი ხელშეკრულების აკრძალვა**

VEON კრძალავს სიტყვიერი ხელშეკრულების გაფორმებას ბიზნეს პარტნიორებთან. VEON-ისათვის

შეთავაზებული მომსახურებისა და მიწოდებული პროდუქტის შესახებ ყველა პირობა უნდა იყოს უშუალოდ განხორციელებამდე წინასწარ შეთანხმებული და წერილობით გაფორმებული.

**საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკის სანქციები**

ბიზნეს  პარტნიორებმა უნდა დაიცვან საერთაშორისო ვაჭრობისა (მათ შორის, იმპორტისა და ექსპორტის / რეექსპორტის კონტროლი) და ეკონომიკის მოქმედი სანქციები, კანონები და რეგულაციები. ბიზნეს პარტნიორები არ უნდა აწარმოებდნენ ბიზნესს ისეთ მხარეებთან ან ისეთი იურისდიქციის ფარგლებში, სადაც მოქმედი კანონები თუ რეგულაციები კრძალავენ ტრანზაქციებს.

**ადამიანის უფლებები**

ბიზნეს  პარტნიორმა პატივი უნდა სცეს და მხარი დაუჭიროს ადამიანის საყოველთაო უფლებებს, რომლებიც გაცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში" ბიზნეს პარტნიორები არც ერთი ფორმით არ უნდა უწყობდნენ ხელს ადამიანის უფლებათა დარღვევის არანაირ ფაქტს და მათ პატივი უნდა სცენ ნებისმიერი პირის პირად ღირსებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და უფლებებს ნებისმიერ დროს. ბიზნეს პარტნიორები არ დაუშვებენ, არანაირი ფორმით, მიუღებელ მოპყრობას თანამშრომლების მიმართ, როგორიცაა მენტალური სისასტიკე, ფიზიკურ შეურაცხყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობა, მონობა, სექსუალური შევიწროება და არა მხოლოდ.

**იძულებითი შრომა**

ბიზნეს პარტნიორები არ გამოიყენებენ იძულებითი შრომის არც ერთ ფორმას, ვალის გამო, სურვილის საწინააღმდეგო თუ იძულებით შრომას. ბიზნეს პარტნიორები არ მოითხოვენ თავიანთი თანამშრომლებისაგან მთავრობის მიერ გაცემული ოფიციალური საიდენტიფიკაციო მოწმობების, პასპორტებისა და სამუშაო უფლებების გადაცემა-ჩაბარებას, როგორც დასაქმების პირობას. ბიზნეს  პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შრომითი ურთიერთობა მათსა (ბიზნეს პარტნიორსა) და დასაქმებულს შორის ეფუძნება თავისუფალ არჩევანს და არ მოიცავს საფრთხეს, დაშინება-მუქარასა და იძულებას.

**ბავშვთა შრომა**

ბიზნეს პარტნიორები არ გამოიყენებენ ბავშვთა შრომას. იქ, სადაც მოქმედი კანონი არ აწესებს დასაქმების მინიმალურ კანონიერ ასაკს, ტერმინი "ბავშვი" გულისხმობს ნებისმიერ პირს 15 წელს ქვემოთ.  მინიმალური დასაქმების ეს ასაკი განსაზღვრულია საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) რამდენიმე კონვენციით.

**ღია და პატიოსანი შრომითი ურთიერთობა**

ბიზნეს პარტნიორები მხარს დაუჭერენ ღია და პატიოსან შრომით ურთიერთობას თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის შურისძიების, დამსჯელი ღონისძიებების, დაშინებისა თუ შევიწროების გარეშე და აღიარებენ, კანონის ფარგლებში, დასაქმებულთა თავისუფალი ასოციაციის უფლებას.

**დისკრიმინაციის არარსებობა**

ბიზნეს  პარტნიორმა უნდა შექმნან შევიწროებისა და უკანონო დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სამუშაო გუნდი. ბიზნეს პარტნიორი არ უნდა მონაწილეობდეს რაიმე სახის დისკრიმინაციაში კანონით დაცული კლასის ან ასაკის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, ადგილობრივის (აბორიგენის) სტატუსის, ეროვნული წარმომავლობის, სქესის, სქესობრივი იდენტობისა და გამოხატულების, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ორსულობის, სამედიცინო მდგომარეობის, რელიგიის, სოციალური წარმომავლობისა და სტატუსის, პოლიტიკური შეხედულების, სავაჭრო თუ სხვა კავშირის წევრობის, საქორწინო თუ ვეტერანის სტატუსის მიმართ დაქირავებისას ან დასაქმების პრაქტიკაში, როგორიცაა დაწინაურება, პრემია და ტრენინგზე დაშვება.

**დასაქმების პირობები**

ბიზნეს პარტნიორის თანამშრომლებს (დასაქმებულ პერსონალს) უნდა ჰქონდეს შრომითი ხელშეკრულება,

რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულებისა და დასაქმების პირობებს. ხელშეკრულება, რომელიც ექვემდებარება ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებს, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შესაფერის ანაზღაურებას სახელფასო მინიმუმის შესახებ მოქმედი ეროვნული წესდების შესაბამისად და შეესაბამებოდეს შესაფერის მოქმედ კანონებში გაწერილი სამუშაო საათების მაქსიმალურ რაოდენობას. ამას გარდა, დასაქმებულების მიმართ მოპყრობა უნდა იყოს ღირსეული და პატივისცემის გამომხატველი. ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, შევიწროება, მუქარა და დაშინების სხვა ფორმები მკაცრად აკრძალულია.

**ჯანმრთელობა და უსაფრთხოება**

საერთაშორისო სტანდარტების, ეროვნული კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, ბიზნეს პარტნიორებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება მიემართებათ ბიზნეს პარტნიორის კონტროლს დაქვემდებარებულ მხარეებს, მათ შორის, ბიზნეს პარტნიორის ტერიტორიაზე მომუშავე კონტრაქტორებსა და თანამშრომლებს. VEON-ის კუთვნილ ტერიტორიაზე მომხდარი ან VEON-ისათვის შესრულებული სამუშაოების წარმართვისას, სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა ფატალური შემთხვევისა და ინციდენტის შესახებ, რომელიც თითქმის ფატალური დაზიანებით სრულდება, უნდა ეცნობოს ჩვენს კომპანიას.

**უბედური შემთხვევა და გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას მზადყოფნა**

ბიზნეს პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს უბედური შემთხვევების, ჯანმრთელობის პრობლემებისა და წინასწარ განჭვრეტადი გადაუდებელი დახმარების საჭიროებებისათვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების სისტემები. ბიზნეს პარტნიორები ასევე ჩაიწერენ, გამოიძიებენ და ისწავლიან წარსული შემთხვევებისა და გადაუდებელი სიტუაციებიდან.

**სანიტარია**

ბიზნეს პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს ობიექტები და მათი კეთილმოწყობა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომელი უზრუნველყოს საცხოვრებლით, რომელიც ჰიგიენურია, უსაფრთხო და აკმაყოფილებს დასაქმებულთა ძირითად მოთხოვნებს.

**გარემოს დაცვა და დაბინძურების თავიდან არიდება**

ბიზნეს პარტნიორები უნდა მოქმედებდნენ გარემოს დაცვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და უნდა უერთგულონ გარემოს დაცვის შესახებ მოქმედ კანონებს პასუხისმგებელი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა ნაკლებ განვითარებულია ან არ ექვემდებარება ჯეროვან აღსრულებას, ბიზნეს პარტნიორები უნდა ესწრაფოდნენ გარემოს დაბინძურების დონის მინიმუმამდე შემცირებას. იმ პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური განვითარება, რომლებიც გარემოსა და სოციალური დაცვის კუთხით სარგებელს ქმნის და გარემოსათვის უსაფრთხო ტექნოლოგიის გამოყენება უნდა იქნეს წახალისებული. ბიზნეს პარტნიორები იმუშავებენ იმ ქმედებების შერბილება-გამოსწორებაზე, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლეზე, ველურ ბუნებასა და გარემოზე.

**კონფლიქტის ზონის მინერალები**

ბიზნეს პარტნიორებმა უნდა მიიღონ გონივრული ზომები მათ პროდუქტში არ მოხდეს ისეთი ნედლეულის გამოყენება, რომელიც, პირდაპირ თუ ირიბად, ფინანსდება ადამიანის უფლებების დამრღვევი შეიარაღებული ჯგუფების მიერ.

**დაწვრილებითი და სრული ჩანაწერები**

ბიზნეს პარტნიორი არ გააყალბებს ჩანაწერებს და მცდარად არ წარმოაჩენს პირობებსა და პრაქტიკას.

**წინამდებარე „კოდექსთან“ შესაბამისობის პროგრამა**

ბიზნეს პარტნიორებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა იმ პროგრამისა თუ სისტემის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ „კოდექსში“ მოცემულ თემებს უკავშირდება, თუ ასეთი უკვე არ არსებობს ბიზნეს პარტნიორის შესაბამის სტრუქტურაში. ასეთი პროგრამა ან სისტემა უნდა დაგეგმარდეს ამ „კოდექსთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მისი მიზანი უნდა იყოს იმ სამოქმედო (ოპერაციული) რისკების შერბილება, რომელიც ამ

„კოდექსს“ უკავშირდება. ამის საფუძველია მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობის პრინციპი.

**შეტყობინება**

ბიზნეს პარტნიორები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გვაცნობონ ამ „კოდექსის“ ნებისმიერი სავარაუდო ან უკვე ცნობილი დარღვევის ფაქტების შესახებ. თუ გაქვთ კითხვები ამ „კოდექსთან“ დაკავშირებით ან ფიქრობთ, რომ შეიძლებოდა ვინმეს დაერღვია ის, გთხოვთ, დაუკავშირდით VEON-ის კომპლაენსის სამსახურს ელ-ფოსტის მისამართზე _ compliance@veon.com. ამას გარდა, შეგიძლიათ კითხვითა თუ პრობლემით მოგვმართოთ გვერდზე _ www.veon.com/speakup. ყველა შეტყობინება დაწვრილებით განიხილება და, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება გამოძიებას. VEON არ დაუშვებს შურისგებას ნებისმიერი იმ პირისადმი, რომელიც ცდილობს სწორად მოიქცეს და წამოჭრას პრობლემა (ეჭვი). იმ პირმა, რომელიც, კეთილი მიზნით, შეგვატყობინებს პოტენციური დარღვევის შესახებ და ამის გამო გახდება შურისგების ან სხვა უარყოფითი რეაქციის მსხვერპლი, დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოს ამის შესახებ ზემოთ გაწერილი არხების საშუალებით.

**ყოველწლიური კორპორატიული პასუხისმგებლობა**

VEON იტოვებს უფლებას საჯაროდ განაცხადოს ამ „კოდექსის“ განხორციელების შესახებ მისი ყოველწლიური კორპორატიული პასუხისმგებლობის ანგარიშის საშუალებით. ანგარიშში არ იქნება დასახელებული კონკრეტული ბიზნეს პარტნიორები და ნებისმიერი შემთხვევის კვლევა ანონიმური იქნება ისე, რომ ბიზნეს პარტნიორების იდენტობა ვერ იქნება განსაზღვრული, თუკი სხვაგვარად არ იქნება წინასწარ შეთანხმებული.